№ 190. სექტემბრის 2, კვირა. 1866—1884 სექტემბრის 2, კვირა. № 190.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible]—განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს [illegible] ზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავს წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

[stamp] [illegible] ბიბლიოთეკა ტფილის

## „დროების“ ფასი სექტემბრის 1-დამ წლის დამლევამდე 4 მანათი.

რადგანაც ჩემგან შედგენილს დრამატიულს დასს აკლია აქტიორ-აქტრისები, ამიტომ ვთხოვ ყველას, ვისაც აქვს სურვილი და შეძლება რომელიმე გვარი როლების ასრულებისა, მობძანდენ ჩემთან მოსალაპარაკებლად დილის 7 საათიდამ 10-მდე და საღამოს 3—6-მდე ოზურგეტვენის ქუჩაზედ № 11. ამავე ადრესით მომმართონ თბილისის გარეშე მცხოვრებლებმა აქტიორებმა და ყოველ ნაირი პიესების პატრონებმა თავიანთ პირობებით.

(5—5) ალექსანდრე ნებიერიძე.

### შინაური ქრონიკა.

═ საზოგადოებაში დიდის გულმოდგინებით ადევნებენ თვალ-ყურს კახეთის რკინის-გზის საქმეს. ჩვენს გაზეთში გუშინ იყო მოხსენებული, რომ კახეთს წავიდენ რკინის-გზის მკეთებელის ბ. ფონმეკის შვილი და რამდენიმე მცოდნე პირნი იმ მიმართულების ასარჩევად, რომელზედაც უნდა რკინის გზამ გაიაროს. როგორც ისმის ინჟინერები ამჯობინებენ თბილისიდამ სიღნაღამდე გაყვანას. თუმცა სიღნაღთან ნუკრიანის მთა იმ სიმაღლეა, რომ თითქმის წსურამის ქედს არ ჩამოუვარდება, მაგრამ სიღნაღისა და კარდანახის შუა არის ერთი ხევი — ანაგისა, რომელზედაც რკინის გზის გაყვანა დიდად საძნელო არ იქნება. ამ ჟამად ამ ხევზედ არის თურმე მიქცეული ყურადღება ინჟინერებისა.

═ ყოვლად-უსამღვდელოესი ალექსანდრე ამ ჟამად აბეჭდვინებს კიდევ ერთ ძველს წიგნს, „ამა ცოდვილისა ღმერთისადმი“, რომელიც გალექსილია თ. პავლიაშვილისაგან.

═ ქუთაისიდამა გვწერენ: „წვიმებმა გაგვიჭირეს საქმე: დღე და ღამე, ღამე და დღე მოსვენება არა გვაქვს. დაწყებული შენობები ზიანდებიან, სიმინდის მოსავალს ცოტას მოელიან. ამ ჟამად აქ სისაღეა, მაგრამ ქურდობა და ძარცვა-გლეჯა დღისითაც კი არის დრო-გამოშვებით. საზოგადოდ იაფობაა. ძალიან აგრილდა. მრავალია აქ სასწავლებლებში შესვლის მსურველნი, მაგრამ აქაური სასწავლებელნი მეოთხედსაც ვერ დააკმაყოფილებენ.

═ კარგა ხანია, რაც საზამთრო და საზაფხულო საძოვრების ხმარების საქმე გლეხების მიერ საზრუნავ საქმედ არის გამხდარი. ახლა, როგორც შეუტყვია გაზ. «ნოვოე ობოზრენიეს», ამ საგანს სახელმწიფო რჩევამდე მიუღწევია და გადაწყვეტილა კანონ-მდებლობის წესით იმ პროექტის მიხედვით, რომელიც წარუდგენია სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, სახელდობრ: ა) რომ ის საბალახოები, რომელნიც ხალხს მიეცემა სახმარად, არას გზით არ უნდა იქმნან გასყიდულნი კერძო პირთა და საზოგადოებათა სასარგებლოდ და არც ნადელად მიცემულნი სახელმწიფო გლეხთათვის; ბ) რომ საზამთრო საბალახოს ზოგიერთა ნაწილები შეიძლება, თუ საჭიროება მოითხოვს, მოიჯრას სარწყავად და სამამულოდ გასაშენებლად; გ) რომ, ვიდრე ხსენებულნი საბალახონი განაწილდებოდენ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის საჭიროების მიხედვით, ცნობაში იქმნას მოყვანილი, ვინ, რომელნი საზოგადოებანი და კერძო პირნი და რაოდენად სარგებლობენ საბალახოებით; დ) რომ დაწესდეს გადასახადი საბალახოთა სარგებლობისათვის მათ ღირსებათა და სივრცის მიხედვით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქმნება; ე) რომ ის საბალახონი, რომელნიც დღეს კერძო პირთ ხელში არიან, კონტრაქტის ვადის გასვლისათანავე, ანუ კიდევ ადრე, თუ ეს კონტრაქტის აზრით შესაძლებელია, იმ დანიშნულებისამებრ მოეწყვნენ, როგორც ეს ზევით არის მოხსენებული; და ვ) რომ, რაც გადარჩება, ხალხის საჭიროებათ დაკმაყოფილების შემდეგ, დარჩეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ხელში იმ დრომდე, ვიდრე სხვაფრივ განაწილდება.

ეს წესნი დამტკიცებულ-იქმნენ და მიენდო თვით სახელმწიფო ქონებათა მინისტრს მათი შესრულება მთავარმმართებელთან შეთანხმებით.

═ გაზ. «კავკაზს» შეუტყვია, რომ კავკასიის სამხედრო სამსჯავრო გადაქვთ ახალ სადგურში და ეხლანდელს სადგურს კადეტის კორპუსს უთმობენო.

═ თ. შალიკაშვილების მამულში, რომელიც სოფ. სკრაში (გორის მაზრა) მდებარეობს, ფრანცუზთ საზოგადოებას განუზრახავს ქარხლისაგან შაქრის საწარმოებლის ქარხნის გამართვა და ამ აზრით გამოუგზავნიათ თავიანთი სანდო კაცი ბ-ნი ტიბო. ტიბო ჩქარობს, რომ ქარხანა მალე მოაწყოს, რადგან ამიერ-კავკასიაში პირველი სამი ქარხანისთვის ბევრს შეღავათს არის დაპირებული მთავრობა. გაზეთს „კავკაზს“ უხარიან ეს ამბავი—ქვეყანასა და მის წარმოებას გააცხოველებსო, მაგრამ სწუხს მხოლოდ იმაზედ, რომ ქარხანას გამართავენ არა რუსეთისა და ადგილობრივი ფულის პატრონები, არამედ უცხო-ქვეყნელებიო.

═ აქამდე ხმა იყო, რომ მთავრობა თბილისში მესამე გიმნაზიის დაარ-

---

«დროების» ფელეტონი, სექტ. 2-ს.

### საკვირაო ფელეტონი

ახალი უფროსი ჩვენის სასამართლოებისა.—განსხვავება იმისა და სხვა მოხელეთა შორის.—მეცნიერი ბერძე და მ. ბესარიონი.—წვრილი შრიფტი დიდის ბოროტების მფარავი.—თავის გამართლებასაც ცოდნა უნდა.—რედაქციისაგან.—განცხადებანი.

იმ მომრიგებელ მოსამართლეებს, რომელთაც დილის თორმეტ საათზედ ყავის მირთმევა უყვართ და მხოლოდ მაშინ გაემგზავრებიან ხოლმე თავიანთ კამერისაკენ, ავი მაგალითის მიმცემი მოუვიდათ. ბ. გონჩაროვი, ახალი თავმჯდომარე სამოსამართლო პალატისა და სრული გამგე ყოველთა ჩვენთა სამსჯავროთა, დილის ყავას არ ეწყობა თურმე, ცხრა საათიდამვე მოდის სასამართლოში და საღამოს 7 საათამდე მტვერს აძევნს ჩაობებულს და დიდის ხნიდამვე დალოჯიჯებულს საქმეებს.

დამშვიდებით ამოისუნთქეს იმ პირთა, რომელთაც დღემდის თავიანთი საქმეები დაუსრულებელი ეგონათ და დღეს კი დარწმუნებულნი არიან, რომ მათი დასრულებაც შესაძლებელი იქნება; განიახლეს ყველამ იმის იმედი, რომ ერთი უმთავრესი ღირსება ახალის სამოსამართლო წესისა—სისწრაფე—უქმ სიტყვად არ დარჩება და აუცილებელი კუთვნილება შეიქნება.

მართლა რომ ეჭირვება ჩვენს სასამართლოებს თავით ბოლომდე აქოთება და ქარზე გამოფენა, ეჭირვება უფრო იმიტომ, რომ ზოგიერთა სამოსამართლო პირთ მეტის-მეტად მაღალი ტახტი დაიდგეს და იქიდამ ფადიშახსავით ბრძანებას უგზავნიან სხვა თავიანთ ამხანაგებს, რომელნიც სახელით თუმცა ფადიშახისვე უფლებით არიან შეჭურვილნი, მაგრამ ნამდვილად კი იმიტომ სხედან, რომ ერთმა მარჯვნივ დაუშვენოს მხარე, მეორემ მარცხნივ. რას ბძანებთ, ვთქვათ, იმისთანა მაგალითზე: ფადიშახი ქეიფობს მუშტაიდში, ერთი დულცინეა სთხოვს,—ხვალ მოსასმენი საქმე ამა-და-ამ პირის სასარგებლოდ გადასწყვიტეო; ფადიშახი ჰპირდება, დულცინეა დამტკიცებასა თხოულობს და ფადიშახი სწერს ხვალინდელ გარდაწყვეტილების კოპიოს წინდაწინვე, აწერს ხელს, ასვამს ბეჭედს, და აძლევს ამ კოპიოს იმ პირს, რომელმაც მიუჩინა ხსენებული დულცინეა. მეორე დღეს სამი პირი ადგენს გარდაწყვეტილებას, მათ შორის, რასაკვირველია ფადიშახიც ბრწყინვალებს, და ადგენს გარდაწყვეტილებასა, რომელიც, რა თქმა უნდა, სიტყვა-სიტყვით იმ გვარივეა, როგორიც კოპიო იყო...

ბ. გონჩაროვს მიუქცევია ყურადღება ჩვენის სასამართლოების მეორე დიდი ნაკლულევანებისათვის: თარჯიმნობის უხეირობა და ორთავ ენის უცოდინარობა სანდაზოდ გარდიქცა. ბ. გონჩაროვს ამ ნაკლულევანების შესამცირებლად საჭიროდ დაუნახავს, რომ მოსამართლემ იცოდეს ის ენა, რომელზედაც დამყარებულია თითქმის ყველა მოწმების ჩვენება და თითონაც უსურვებია ქართულის ენის შესწავლა.

იქნება, ბ. გონჩაროვმა ვერ დასძლიოს ამ მისთვის ახალსა და ძნელს საქმეს, რადგან უამისოდაც მძიმე ტვირთი აწევს, მაგრამ ეს მაინც სასიამოვნოდ მიგვაჩნია, რომ პირველ პირს ჩვენის სამოსამართლო პერსონალისას ულიარებია ის ჭეშმარიტება, რომ მოსამართლემ უნდა იცოდეს იმ ხალხის ენა და გარემოება, რომელსაც ასამართლებს და სჯის.

***

მაგრამ ეს არა თუ მოსამართლისათვის არის საჭირო, არა ნაკლებ საჭიროა სხვა ასპარეზზე მოღვაწეთათვისაც. სამწუხაროდ, ბევრს ვერა ნახავთ იმისთანა უცხო პირს, რომელიც ამ გზას ადგეს და ცდილობდეს ამისთანა უმანკო საშუალებით მაინც ხალხის გულის მოგებას. ბევრში რაღაც უმიზეზო გაბოროტებასა ჰხედავთ; ბევრი მხოლოდ იმიტომ მოსულა იერუსალიმიდამა და სხვა შორეულ ქვეყნიდამ, რომ ხვეჭოს და ხვეჭოს, რაც მეტი შეიძლება, მასუკან დაჰკრას ფეხი და ჩვენვე მასხარად აგვიგდოს...

თუ არ უმიზეზო გაბოროტებით, მაშ რითი აიხსნება ბ. ბერძეს უხამსი წამოყრანტალება, რომ საქართველოს ისტორიაში მარტო ერთადერთი თამარ-მეფეა სიმპატიური პირი, და წამოყრანტალება მისი მაშინ, როცა საქართველოს ისტორიაზედ არავინ რას ეკითხებოდა. თითქო სხვა შესანიშნავნი ისტორიულნი პირნი

სებას აპიროვნსო, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს აკადემიური წელიწადი ისე დაიწყო, რომ მესამე გიმნაზია არსად არის და მრავალი ყმაწვილები ისევ სასწავლებელთ გარეშე უნდა დარჩნენ.

— ქართლიდამ გვწერენ, რომ ძალიან უამინდობაა და კალოები ნახევრობით გაულეწავი რჩებაო. მეტადრე, სადაც ქირნახულები ბლომად მოვიდა, ჯერ მესამედიც არ გაულეწიათო. უამინდობის მიზეზივეა, რომ ყურძენი ძალიან გვიან მწიფდება და ჯერ ისევ ისვრიმივით არისო.

— იქიდამვე გვწერენ, რომ სოფ. ქვემო-ნიქოზში სასოფლო სასაფლაო შიგ შუა სოფელში არისო. სოფლელებს მიწა თუმცა ნაყიდი აქვთ სოფელ გარედ, მაგრამ ყველა ერიდება პირველი მიცვალებულის დამარხვას და ვერასგზით ვერ გადაუტავინებიათო.

## წერილი რედაქციისადმი.

ბ. რედაქტორო!

არა ერთი მაგალითი გამიგონია, რომ ზოგიერთი ექიმები ავადმყოფს მაშინაც კი უარს ეუბნებიან რჩევასა და რაიმე საშუალების მიცემაზედ, როდესაც უკანასკნელი მათ კარებზედ მიადგება; მაგრამ არა მჯეროდა ამგვარი ამბავი, ვიდრე ჩემის თვალით არა ვნახე და ჩემს თავზედ არ გამოვცადე ამგვარი ლაპარაკის სიმართლე.

წარსულს კვირაში მე ვიყავი მეტად შეწუხებული ხელის სიმსივნით. ამ თვის თექვსმეტს, საღამოს რვა საათზე, ჩავჯექ ფაიტონში და გავეშურე ექიმთან და მიმიყვანეს ბორის ბალის კარებთან და მითხრეს: «ექიმები ეხლა ყველანი როტონდაში არიანო“. მე გადმოვხტი, მივედი «როტონდასთან» და, როდესაც ფანჯარას მივუახლოვდი, შევხედე ექიმს ბ. ტ—სოვს, რომელსაც მოსამსახურე შევუგზავნე და ვსთხოვე, რომ გამობრძანებულიყო გარეთ ჩემს სანახავად. ბ. ტ—სოვი, მართალია, გამობრძანდა, მაგრამ მოისმინა თუ არა ჩემი თხოვნა, იმავ წამს ცივი უარი მითხრა შველაზედ:

მე ეხლა არ შემიძლიან გიშველო, რადგან აქ ხელთ არა მაქვსრაო. მე ვუთხარ: აგერ მყავს ფაიტონი, ჩავსხდეთ და წავიდეთ იქ, სადაც შეიძლება ჩემი შველა მეთქი. მაშინ ბ. ტ—სოვმა მიბრძანა: ეხლა ღამეა და არ შემიძლიან, ხვალაო... მე მეტის მოთმენა აღარ შემეძლო და წაველ ჯარების საბანაკოზედ, სადაც სამხედრო ექიმი ბ. ზ—კი ვნახე, რომელმაც მისვლისათანავე დაუყონებლივ მიმიღო და შემწეობაც აღმომიჩინა. ამასთანავე უნდა დავუმატო, რომ ბ. ზ—ცკიმ არავითარი სასყიდელი არ გამომართვა, რისთვისაც გულითადს მადლობას ვუძღვნი. ნეტავი გაგვაგებინა: მოვალე არის ბ-ნი ტერ—სოვი, როგორც მაზრის ექიმი, შემწეობა აღმოუჩინოს თავის მაზრის შეწუხებულებს და მეტადრე მაშინ, როდესაც მას სნეული კარზედ მიადგება, თუ არა?

ს...მე.

## უცხოეთი.

—

**საფრანგეთისა და ჩინეთის საქმე.** ინგლისურს გაზეთებს მოსვლიათ შანხაიდამ ტელეგრამა, რომელიც იუწყება, რომ აგვისტოს 23 ს ბრძოლაში ჩინელებს დაჰხოციათ 1.000 კაცი და 3.000-ც დასჭრიათ.

—

**ეგვიპტე.** უკანასკნელად მოსული ამბებიდგან ვტყობულობთ, რომ ლორდი ნორსბრუკი და გენერალი უოლსლეი უკვე წასულან ალექსანდრიაში; ისინი გაივლიან ვენაზედ და ტრიესტზე. რადგანაც ნორსბრუკის ეგვიპტეში გაგზავნის მიზეზი საიდუმლოა, ამისათვის ჟურნალ-გაზეთების ყურადღება მთლად მიქცეულია გენერალი უოლსლეის წასვლაზე. ეს დამსახურებული გენერალი, რომელსაც დიდი სტრატეგოსის და გონიერი სარდლის სახელი აქვს დავარდნილი ინგლისში, როგორც უკვე ცნობილია, დაინიშნა იმ ექსპედიციის მთავარ-სარდლად, რომელიც ხართუმში იგზავნება. ინგლისურს გაზეთებს ძალიან თურმე მოსწონთ მისი დანიშვნა ხსენებულს თანამდებობაზედ, რისგამოც აქებენ ინგლისის კაბინეტს და სამხედრო სამინისტროს და ამბობენ, რომ მხოლოდ ეხლა შეიგნო მმართებლობამ ნამდვილი საქმის გარემოება და გონიერულად დაიწყო მოქმედება ეგვიპტეში და სუდანშიო. რაკი საქმე უოლსლეიზედ მივარდა, სჩანს, რომ სახუმარს საქმეს არ შესდგომია ინგლისი. უოლსლეი ისეთი კაცი არ არის, რომ მოატყუებინოს ვისმე თავისთავი და ტყუილ-უბრალოდ დრო დაჰკარგოსო; მართალია, გორდონიც მაგარი და გონიერი კაცია, მაგრამ იმას, როგორც ავანტიურისტად ნამყოფს კაცს, ის პატივისცემა არა აქვს, რაც გენერალს უოლსლეისაო. ხსენებული ექსპედიცია უმეტესად მდინარით ივლის. ის წავა ნილოსით ზემოთკენ დონ-გოლამდინ და იქნება დონგოლს იქითაც წავიდეს, ეს მთავარ სარდლის სურვილზეა დამოკიდებული.

გემები, რომლებითაც ჯარი უნდა წაიყვანონ, ცარიელები მოვლენ სარასში, ვადი-ხალფის ქვემოდ. ეს გემები პატარა და პტყელ-ძირიანები არიან; ზოგს ჯავშანი აქვს და ზოგიც უჯავშნოა; ყველა კი ზარბაზნებით არიან დაიარაღებულნი.

—

**ეგვიპტის საქმე.** როგორც ბერლინში შეკრებილი და გაზეთებში დაბეჭდილი ცნობებიდგან სჩანს, შესაძლებელია, რომ ლონდონის კონფერენციაზე აღძრული და გადუწყვეტელი საქმეები ხელ-ახლად აღძრან და გადასწყვიტონ კიდეც. ამბობენ გერმანიის და ავსტრიის პირველმა მინისტრებმა უფრო იმიტომა ნახეს ფარცინში ერთმანეთი, რომ მოელაპარაკნათ იმის შესახებ, თუ როგორ მოაგვარონ ეგვიპტის საქმე, რომელიც ლონდონის კონფერენციამ ვერ გარდასწყვიტაო. თუ ვერწმუნებით გაზეთებს, გრაფს კალნოკის და თავ. ბისმარკს გადაუწყვეტიათ ერთმანეთის ნახვის დროს კიდევ აღძრან ეგვიპტის ფინანსიური და სხვა საქმეები და ამისათვის მოიწვიონ ბერლინში სხვა სახელმწიფონი ახალს კონფერენციაზე. როგორც ისმის, ამ კონფერენციაზე, ეგვიპტის საქმეთა გარდა, უნდა განიხილონ კოლონიზაციის საქმეც, უმთავრესად იმ სამფლობელოთა შესახებ, რომელნიც მდ. კონგოს გაყოლებით იმყოფებიან, აფრიკაში. სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა უნდა განსაჯონ კონფერენციაზე აგრეთვე ის ხალხთაშორებრივი საშუალებანიც, რომელნიც უნდა ხმარებულ-იქმნან ანარხისტების წინააღმდეგ. ამბობენ, რომ თუ იმპერატორების ერთმანეთის ნახვა მართლა მოხდა, იმათ ამ საგნების შესახებაც ექნებათ მოლაპარაკება და ვიდრემდის იმპერატორები ერთად

---

სრულიად წყალ-წასაღებნი იყონ! თითქო ვახტანგ გორგასლან, დავით აღმაშენებელი, ქეთევან, ბაგრატ, ირაკლი იმის ღირსნიც არ იყონ, რომ ბერჟემ წყალობის თვალით მიჰხედოს მათ და სიმპატიური პირი უწოდოს. მაგრამ სიმპატია პირადი საქმეა და ძალიან ვერ გავკიცხავთ ბ. ბერჟეს, რომ ყველა ჩვენ დიდებულ გმირებს ვერ „უსიმპატიებს“. მხოლოდ ეს არის, რომ თუ კაცს ისტორიკოსად თავი მოაქვს, ინსტიტუტკურ სიმპატიებს თავი უნდა დაანებოს, ისტორიულნი პირნი ისტორიული ფაქტებით უნდა საჯოს და არა ერთთ «დუშკები» უწოდოს და მეორეთ «პრატივნები».

***

რაც არ შეეტევება ბერჟეს, რომელიც, რაც უნდა იყოს, მაინც არხეოლოგოსად ითვლება, უნდა მივუტევოთ მ. ბესარიონს, რომელმაც არა უწყის, რასა იქმს. მ. ბესარიონიც აგრეთვე უცხო სტუმარია და ისეთი სტუმარიც, რომელსაც ახად ეთქმის: „დილით ოქრო ხარ, სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი და თუ დრო გადაცილე და სხვ. და სხვ.

მ. ბესარიონი განსაკუთრებით სწვევია ქართლის სოფელს დირბს და იქ მოუკიდნია ბინა.

«დროებამ» მ. ბესარიონს საშინელი ამბები დააბრალა: მოსავლის მეხუთედსა ჰკრეფსო, საქვრივოს, საჩექმეს ილებსო, ძღვენებს აზიდვინებსო, უქმე-დღეობით თავისთვის ამუშავებსო და სხვ. და სხვ. მ. ბესარიონმა მიმართა აქაური რუსული გაზეთის წვრილ შრიფტს „აპრავერჟენიისათვის“.

კარგი რამ არის ეს წვრილი შრიფტი „დროებისაგან“ დაჩაგრულთათვის. ჩვენს მკითხველებს დავიწყებული არ ექნებათ, რამდენმა ამისთანამ ჩაჰყოსირ-აქლემასავით ამ წვრილ შრიფტში თავი და ორიოდ დღით მაინც იმედა, რომ ამით მიმალა ყოველი თავისი ბოროტ-მოქმედება. მკითხველს დავიწყებული არ ექნება კავთის-ხევის ქუნთრუშას ამბავი, რომლის თაობაზედაც ორი ოფიციალური ქაღალდი გვიძევს ეხლა სტოლზედ ერთისა და იმავე დაწესებულებისაგან მოწერილი, ერთისა და იმავე პირისაგან ხელ-მოწერილი. პირველი ამბობს, რომ თქვენი კორესპონდენცია კავთის-ხევში ავადმყოფობაზედ ცრუ და უსაფუძვლო გამოდგაო და მეორე ამბობს, — ყველაფერი მართალი ყოფილა, რაც კორესპონდენციაში ეწერა და სულ მამასახლისის ბრალია, რომ აქამდის არაფერი არ ვიცოდითრაო. იქნება, აგრეთვე არ დავიწყებოდეთ ვიღაც რიზევსკის ცხარე წერილი, რომლითაც სასამართლოში ჩივილს გვემუქრებო და ცილის წამებისათვის და ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ მხოლოდ მაშინ დაერიგებინა იმის მოურავს მუშებისათვის სამი-ოთხი თვის სამუშაო, როცა «დროებამ» ამ უკანონო მოქმედებაზედ ხმა ამოიღო. დავიწყებული არ გეყოლებათ აგრეთვე ყაბარდოელების ჩვეულების წმინდად დამცველი ბ. სერებრიაკოვი, გმირთა-გმირი ბ. ჩიგოგიძე, რომელსაც ჯილდოს მოლოდინში მკვდარი ცოცხლისაგან ვერ გაერჩია და ამ საზიზღარი ამბის გამოაშკარავებისათვის შემდეგს ტელეგრამასა გვწერდა: «მე მექნება საქმე თქვენთან, ავტორთან, პალატაში და პალატის გარეთ, სააქაოს და საიქაოს».

ვინ იცის, კიდევ რამდენს ჩამოვთვლიდით, რომ ჩვენი არხივი კიდევ უფრო გადაგვეფუტკნა. ახლა ამ დასს მიმატებია ახალი პირი მ. ბესარიონი, რომელიცა ბძანებს „კავკაზში“ (№ 194) — «დროება» ტყუილს მიგონებსო. მე მეხუთედს მართალია ვიღებ «ნატურით» იერუსალიმის მონასტრის მამულების შემოსავალს, როგორც გამგე ამ მამულებისა, მაგრამ სხვა ხარჯები მე არა დამიწესებია-რა, არც საქვრივო, არც საჩექმე, არც ძღვენი მომითხოვნია, არც უქმე-დღეობით ვამუშავებ ხალხსაო. პირ-იქით მე ჩემის მოვალეობისამებრ ვუკრძალავ მათ უქმე-დღეობით ჩვეულებრივ მუშაობასაო.

თავის გამართლებასაც ცოდნა უნდა, მ. ბესარიონ! მეხუთედს «ნატურით» ვიღებო, ბძანებთ თქვენ, მაგრამ რა დაწიოკება მოსდევს გლეხ-კაცობისა ამ «ნატურით» აღებას, ეს სჩანს გლეხკაცებისაგან შეტანილი საჩივრებიდამ, რომლებშიაც ისინი თხოულობენ, რომ პურისა და ღვინის მაგიერად ფულზე გადაუწყვიტონ ჯეროვანი გადასახადი. გლეხ-კაცი ყოველთვის „ნატურით“ ძლევას არჩევდა ფულის ძლევას, თუ რომ ამ გადასახადის გაღებას სხვა უსიამოვნო გარემოება თან არ მოსდევდეს.

რაც შეეხება ძღვენების მოუთხოვნელობას, მ. ბესარიონმა კარგად იცის, რომ მოუთხოვნელადაც უზიდვენ შობასა და აღდგომა-დღეს და

შეიყრებოდენ, იქნება, ავსტრიამ და გერმანიამ გამართონ კიდეც მიწერ-მოწერა სხვა დიდ სახელმწიფოებთან ამ საქმეზედა. როგორც იწერებიან ბერლინში დარწმუნებულნი არიან თურმე, რომ რუსეთი, იტალია და საფრანგეთი თანხმანი იქნებიან; მხოლოდ ინგლისის თანხმობა კი საეჭვოდ მიაჩნიათ.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

აგვისტოს 31-ს

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა მინისტრი დიპლომატიური განცელარიის დირექტორით და ვიცე-დირექტორითურთ წავიდა სკვერნევიცში.

ვილნო. სარატოვის პოლკის ბანაკი, შტაბის შენობათა გარდა, სულ ერთიანად გადაიწვა; დიდ-ძალი ქონება დაიღუპა სახელმწიფო და კერძო; ცეცხლის წაკიდების მიზეზი უბედური შემთხვევა იყო.

ბერლინი. იმპერატორს გვირას უნდა წასვლა.

ნეაპოლი. ხოლერა სუსტდება.

პეტერბურგი. დღევანდელ ტირაჟში უმთავრესნი მოგებანი ერგნენ შემდგომს ბილეთებს მეორე შინაგანი სესხისას:

| №№ სერიისა. | №№ ბილეთისა. | მოგების ჯამი. |
|---|---|---|
| 18,193 | 1 | 200,000 |
| 9,532 | 47 | 75,000 |
| 13,200 | 22 | 40,000 |
| 6,143 | 5 | 25,000 |
| 8,644 | 8 | 10,000 |
| 16,697 | 46 | 10,000 |
| 9,287 | 2 | 10,000 |
| 7,467 | 14 | 8,000 |
| 6,073 | 15 | 8,000 |
| 4,380 | 7 | 8,000 |
| 3,293 | 32 | 8,000 |
| 4,363 | 38 | 8,000 |
| 1,441 | 33 | 5,000 |
| 7,909 | 47 | 5,000 |
| 2,547 | 6 | 5,000 |
| 5,124 | 21 | 5,000 |
| 19,030 | 31 | 5,000 |
| 18,537 | 33 | 5,000 |
| 10,201 | 22 | 5,000 |
| 12,268 | 11 | 5,000 |
| 17,933 | 50 | 1,000 |
| 3,596 | 28 | 1,000 |
| 6,010 | 6 | 1,000 |
| 10,939 | 21 | 1,000 |
| 18,764 | 17 | 1,000 |
| 9,904 | 4 | 1,000 |
| 1,662 | 2 | 1,000 |
| 16,127 | 35 | 1,000 |
| 9,822 | 30 | 1,000 |
| 14,666 | 47 | 1,000 |
| 4,855 | 30 | 1,000 |
| 15,427 | 17 | 1,000 |
| 7,162 | 24 | 1,000 |
| 4,133 | 2 | 1,000 |
| 2,803 | 21 | 1,000 |
| 16,067 | 22 | 1,000 |
| 13,677 | 8 | 1,000 |
| 19,640 | 50 | 1,000 |
| 7,175 | 24 | 1,000 |
| 18,976 | 47 | 1,000 |

ამ დღეებში მინისტრთა კომიტეტი განიხილავს საქმეს სტუდენტების ფორმის ტანთ-საცმელის შესახებ; ამბობენ, რომ უწინდელს ფორმას აირჩევენო.

# ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდის.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდის. საბებიო, სქალების და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 სათამდე.—სახირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; მტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლველად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლქფსონი კბილის ტკივილის საწამლელად. მიიღებს ფასის სასხლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.

აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. $2^1/_2$

მეორისა— — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის —1 გ. $4^1/_2$

მეორისა— — —1 გ. 3 კ.

მესამისა— — —1 გ. $2^1/_2$

ჯვარის-მამი პური:

პირველი ხარის. ლავაში 1 გ. $4^1/_2$

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3^1/_2$

მესამისა — — —1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა—1 გ. 7 კ.

მეორისა— — —1 გ. 6 კ.

სუკი . . . —1 გ. 14 კ.

ცხვრის ხორცი —1 გ. 7 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა—1 გ. — კ.

მეორისა— — —1 გ. — კ.

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდის 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ვინც არ მიუტანს, იმას ერთი-ორად და სამად «ნატურით» გადახდება.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ის პუნქტია, რომელშიაც მ. ბესარიონი ბრძანებს—მე უქმე-დღეობით მუშაობას არა თუ ჩემთვის, თავიანთთვისაც ვუკრძალავო. ეს სიტყვები აშკარად გვაჩვენებენ, როგორის თვით-მპყრობელობით უნდა იყოს შემოსილი ს. დირბის მბძანებელი. მისი სიტყვები მოგვაგონებენ იმ დროს, როდესაც ყმას ბატონის ნება-დაურთველად ცოლის შერთვა არ შეეძლო. მხოლოდ, როგორც ეტყობა, საბრალო დირბელებს არამც თუ ცოლის შერთვა, უქმე-დღეობით ხელის განძრევაც არ შეუძლიათ, თუ მ. ბესარიონს არ დაეკითხნენ. მ. ბესარიონს ძველ ინკვიზიტორებსავით მოუწადინია «თვისთა შვილთაგან» არამცთუ კულუხისა და ლალის აკრეფა, არამედ სულისა და ხორცის დაპატრონებაც, მაგრამ ის კი დავიწყებია, რომ ორს უფალს ერთსა და იმავე დროს კაცი ვერ ემსახურება და არც უნდა ემსახუროს.

რედაქციისაგან.

ჩვენი ფელეტონი დასრულდა და ამ დასასრულში ერთს ახლად შემოღებულს წესზედ უნდა მივაქციოთ მკითხველების ყურადღება. მკითხველებმა იციან, რომ ქართულმა მწიგნობრობამ, ძველმა მაინც, ამ ბოლოს დროს ძალიან ფრთა შეისხა. ამ მწიგნობრობის გავრცელებასთან ერთად ჩვენს გაზეთსაც ემატებიან, როგორც ხელის-მომწერლები, ისე კერძო განცხადებები. ეს ამბავი დიდად სასიამოვნოა, მაგრამ სიამოვნებას ერთი უსიამოვნობაც მოსდევს: ალაგი ცოტა გვაქვს: მეოთხე გვერდი იმსება განცხადებებით, პირველზედაც დაიზინავეს ზოგიერთებმა და ახლა მეტი გზა არ არის კვირის ფელეტონის ბოლოშიაც უნდა ჩავურთოთ ხოლმე. ეს ადვილი საკითხავიც იქნება მკითხველისათვის და რედაქციასაც ხელს-მისცემს. მხოლოდ ვუცხადებთ განცხადებების პატივცემულ ავტორებს, როგორც სამღვდელოებს, ისე საეროებს, რომ ფასი მათის შრომის დაბეჭდვისათვის ერთი სამად გამოერთმევათ უკანასკნელ გვერდთან შედარებით.

## განცხადებანი.

ვეძებ

იმისთანა ქართულის მცოდნე ქართველს, რომელმაც წარბ-შეუკვრელად ამიხსნას, რას ნიშნავს.

«უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების გან ების».

(10—1) შ. რ.

—

მადლობა! მადლობა!! და კვალად მადლობა!!!

საყოველთაოდ საცნობლად ვუცხადებ მადლობას ჩემის ლექსიკონის რედაქტორს, რომ ნაკლულევანებით ალსავსე შრომა ჩემი ჯეროვანად განკარგა და ყოვლად-უნაკლულოდ შექმნა.

(100—1) ს. ს. ო.

—

ეს რა დაბრიყვებაა!

რომ „მაცვია-მწყემსი" დამიმახინჯეს, რაც მე მომწონდა ის ამოშალეს და „ვისრამიანს" კი ყოველ-გვარის უწმაწურობის პრივილეგია მისცეს. მოდი და ჩემის გამოცემის რედაქტორზედ ნუ იტყვი, რომ არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.

(5—1) დ. გ.

—

გამჯიჯგნეს, გამჯიჯგნეს, გამჯიჯგნეს!!

მომეშველენით, ქრისტიანებო! სამი წელიწადი, სამი თვე, სამი კვირა და ხამი დღე მჯიჯგნიდენ, ჯვარს მაცვეს და მასუკან თავ-სისხლიანი გამომაქვეყნეს.

(1—1) გ—სი და რ—ნი.

—

ჩემი «წინანდალი» იმას,

ვინც ჩემს «ჭამუნვის მახვილს» ისე იმღერებს, რომ «წიწერნაკზედ» არ გადაუხვიოს.

(100—1) ა. ჭ.

—

ვაძლევ ასს თუმანს

იმ ადვოკატს, რომელიც განმიმარტებს, რა სასჯელი ეკუთვნის შვილს, რომელიც უკანონოდ მამის ღირსებას მიითვისებს.

გ. მ.

ადრესი: იკორთის მონასტერი.

(3—1)

—

მომიკითხეთ ჩემი ერთგული ნაერთგულევი ლ. ი. უმაგისოდ აქ მომწყინდა.

(1—1) გ. ო.

—

უმორჩილესად ვთხოვ სოფლის მასწავლებელთ

შეჰკრიბონ ზღაპრები, ანდაზები, იგავები, არაკები, შაირები და გამომიგზავნონ შემდეგის ადრესით: ფოთი-თბილისის რკინის გზაზედ თბილისისა და ქუთაისის შუა.

ა. წ.

(10—1)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პეტერბურგის საათით 7 ს. 53 წ. დილ.)

# განცხადებანი

**მოსკოვული კბილის ექიმი დესკური.**

30 წელიწადზე მეტია, რაც ექიმობს, და ეხლა მოვიდა რა თბილისს, მიიღებს კბილით ავადმყოფებს, ჰუსხავ კბილებს როგორც ერთსა და ორს, აგრეთვე სულ ყველას ერთად. ფასი ზომიერი არის.

ადრესი: პატარა თბილისის ქუჩა, სახლი № 30, ტელეგრაფის სტანციის გვერდზედ. (1—1)

თითქმის რამოდენიმე წელიწადი ხდება, რაც ტიფლ. გუბერნიის ისახს ჩემთან ას-ორმოცი-და-ათი ლირა ესე იგი, თათრული ოქრო, რის მოუცემლობის გამო იძულებული გამხდარი დავთანხმებულიყავ ცხრას მანეთზედ, რომელიც მომცეს ვექსილით ორივე ძმებმა ოზურგეთის მოქალაქეთა: ტიტო და ილიკო მოგელიებმა; მაგრამ საუბედუროდ ვერც ის ცხრასი მანეთი მივიღე ნებაყოფლობით, რისთვისაც მივეცი ვექსილი, პროტესტირებული ლოზის-ძეს დეკემბ. 1881 წელს. მაგრამ აქ ვერ მიწარმოება საქმე წესიერად რომელმაც მიზეზის გამო რისთვისაც გავუგზავნე მისი ვექსილი 8-ს აგვისტოს და მივეცი ამოღონ გორის მეს ქიქელს.
ალექსანდრე გარაყანიძე.
(2—2)

**LA VERITABLE SALSEPAREILLE COLBERT**
(ნამდვილი სალსაპარილი)

ასრეხს სისხლის ყოველსავე უწმინდურებებს და ავადმყოფობას. შეთხილვით მიმზადება. ეტიკეტზე უნდა იყოს წითლად მოწერილი J. PLATEAU. ფაბრიკის ნიშანი წარდგენილია. რომ არ მოსტყუვდეთ, მიმარ- (1—)

თეთ უურო ს. ზურიკოვს და შახპარონიანცს. (8—5)

**ქშ. პილაქეთა წიგნის მაღაზიამ ქუთაისში.**

მიიღო ყოველგვარი ქართული და რუსული წიგნები, რვეულები, დაფები და კანცელიარული მასალები. (5—2)

**კბილის ექიმი**
**ბ. არნშტეინი**

მიიღებს ავადმყოფებს დილით 10-საათიდამ საღამოს 6-ს საათამდე. გოლოვინის პროსპეკტზედ, მირზოევის სახლში, რომელიც უწინ ზელიოსა იყო. (10—9)

**ინგლისური რკინის კრაოტები.**



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სამარილე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფრის ჩინი, საწყაოები, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სათხეები, უნაგირები კაცისა და ქალისა; ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიქები, ზარადები, გაშსიულები, ხათვანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საზნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, ვამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—45)

**შპალიერი** ახალი მხატვრობით მომავალის სეზონისათვის მიღებული ბლომად და სხვა-და-სხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

ძმების ტარნოპოლისა

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 კაპეიკიდგან მოკიდებული.

(30—29)

**ფოთიაქი**

**აივაზოვისა** გადავიდა ერევნის მეიდანზე სამოქალაქო სახლში.

(10—6) არენდატორი მ. **ალმუროვი.**

**ბიბლიოგრაფიული განცხადება**

**კონა** პირველ-დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისა, მეორე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით. ფასი ათი შაური. ვინც ერთად იყიდის ოცსა ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა 42 კაპეიკად.

**დედანი ქართული წერისა,** სასწავლებლებში სახმარებელი, შედგენილი მისივე, მთლად ამოითხარა ქვაზედ, იბეჭდება უკანასკნელი თაბახი და მზად იქმნება გასასყიდად პირველის აგვისტოსათვის. დედანი იპყრობს: სახატავებს, ხელის სავარჯიშოებს, ქართული ასოების, ნაწილებს, მრგვალს ხელს, ორასზედ მეტი სურათით, — მრგვალი ხელი თავში მოთავსებულია ბადეში, შემდეგ ექვს მწოლარე ხაზს შუა, ოთხს ხაზს შუა, ორს ხაზს შუა, ერთს ხაზზედ და ბოლოს უხაზოდ, — ეს პირველი განყოფილება თავდება წვრილი მრგვალი და შუალა ხელით. შემდეგ არის დაბეჭდილი ნუსხური ჯერ გადაუბმელად, მერმე გადაბმით — მომსხო და წვრილი ხელი. ბოლოში არის დამატება, რომელიც იპყრობს თორმეტს ნიმუშს სხვა-და-სხვა ძველი საუკეთესო ნაწერებიდგან გადმოღებული ხელისას. ამას გარდა დედნის დასასრულში ჩართული იქნება ვრცელი დარიგება მასწავლებელთათვის. ფასი ექვსი შაური. სკოლებს და მაღაზიებს დედანი დაეთმობათ ხუთ შაურად, როცა იყიდიან ერთად ოცს ან მეტს ცალსა.

საწყობი — გრიქუროვის მაღაზია, ძუკის ხიდის ყურთან.

(10—8)

**PAPIER RIGOLLOT**
**БУМАГА РИГОЛЛО**
**ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ**
ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ
ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВѢДОМСТВАХЪ
Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.

Принимайте за *НАСТОЯЩУЮ* **БУМАГУ РИГОЛЛО** лишь ту, листы которой имѣютъ поперегъ сію подпись **красною** краской.

F. Rigollot

*Продается во всѣхъ аптекахъ.*

**ГЛАВНОЕ ДЕПО**
**24, Avenue Victoria**
PARIS
**Въ Парижѣ.**

(32—22)

გამოვიდა
ცალკე წიგნად
**სამგვარი სიყვარული**
მოთხრობა
აკაკი წერეთლისა
(„დროების" რედაქციის გამოცემა.)
ფასი 30 კაპ.

(ვინც ოც ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის ერთბაშად, 10% დაეთმობა.)

წიგნი ისყიდება **თბილისში** გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, შაკერდოვის სააგენტოში და ჩარკვიანის მაღაზიაში. **ქუთაისში** ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნათაძესთან, **თელავში**, საზოგადოების დეპოში. ერთბაშად ყიდვა შეიძლება აგრეთვე «დროების» რედაქციაშიაც. (10—4)

**შენახვა ჩრჩილისა და ბუზანკალისაგან.**

**ნაფტალინი** (ქაფური) **ჩრჩილის გამწყობი** წყალი, სპარსული და დალმატიური პარაშოკი, გუტპერჩის ტომრები ბეწვეულობის და შალის ტანისამოსის შესანახავად. პომადა მეტალთა დასაფერავად, საუკეთესო ფრანცუზული ვაქსა, გლიანც-სახამებელი, ლილა და სხვანი საოჯახო ნივთეულობანი ისყიდებიან თბილისში, საათფთიაქო საქონლების სავაჭრო კავკასიის ამხანაგობაში. (70—50)